ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 342

“ 15 ” სექტემბერი 2017 წ.

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №128-142-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074), 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ონურისთვის“ (ს/კ 404475616) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №128-142-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074), 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ონურისთვის“ (ს/კ 404475616) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2017 წლის 19 ივლისის №26.19.528 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №128-142-ის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: №01.13.08.009.074), 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (დანართი 1-ით წარმოდგენილი სიტუაციური ნახაზის შესაბამისად) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ონურისთვის“ (ს/კ 404475616) გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

2. შეთანხმდეს საიჯარო ქირის წლიური საფასური - 960 (ცხრაას სამოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**